



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-48

11 ოქტომბერი, 2016

ქ. ბათუმი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების ჩატარების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე და 45-ე მუხლების, „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, მე-12 მუხლებისა და ბნსუ-ს სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნების ჩატარების დებულების პირველი, მე-6 და მე-8 მუხლების საფუძველზე:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის არჩევნები დაინიშნოს 2016 წლის 26 ოქტომბერს.
2. სტუდენტური თვითმართველობის წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 19 წევრით:
  - ა) საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი – 13 წევრი;
  - ბ) ლოგისტიკის ფაკულტეტი – 6 წევრი;
3. სტუდენტური თვითმართველობის კანდიდატთა და ამომრჩეველთა რეგისტრაცია იწარმოებს სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისიაში 2016 წლის 11 ოქტომბრის 11:00 საათიდან – 2016 წლის 21 ოქტომბრის 16:00 საათამდე, მისამართი მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38. ოთახი №15.
4. კანდიდატმა რეგისტრაციის გასავლელად კომისიას უნდა წარუდგინოს:
  - ა) პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
  - ბ) ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან - საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო წლის მითითებით;
  - გ) განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე (ივსება ადგილზე).
4. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს უზრუნველყონ საარჩევნო კომისია შესაბამისი სამუშაო პირობებით.
5. ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი:

პარმენ ხვედელიძე

